პაპუნა — როსტომ, შენ თითქოს შეუძლოდ იყავ?

შენს მზესა ვფიცავ, საუცხოო სანახვი ხარ!

როსტომი — დიახ, დიახ, საუცხოო, პაპუნა წერეთელო!
თუმც ავად ვიყავ, მანც კარგად ვარ!

ბერი — (მეფის გასაგონად) განა არ არის ეს მეფისათვის შეურაცხ-
ყოფა?

მეფე — როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდეს!

როსტომი — მეფევ, ბატონო!

ბელიერი ვარ,

რომ ბარაკონში ამობრძანდი „დარბაისლებით“.

პაპუნა — კი ამობრძანდა მეფე თავის „დარბაისლებით“!
მაგრამ, შენ, როსტომ, უდიდესად პატივცემულმა,
შენ არ ინებე ლეკერწაში ჩამობრძანება!

როსტომი — არ, კიდევ ურწმუნო თომა ჩემს დროებაში!

ხომ მოგახსენეს: შეუძლოდ გახლდი!

მაშ საყვედლური ზედმეტი არის...

„არ ჩამობრძანდა!“

მოხარული ვარ, რომ თვით მობრძანდით...

მოურავი — სად არის ახალი სუფრა?

მეფე — ნუ შესწუხდები! ხვალ მოვესწრებით.
ხვალ მე საქმეც მაქვს... შენთან ბევრი სალაპარაკო.

როსტომი — „არ ჩამობრძანდი“ ლეკერწაშიო, —

რა საჭიროა იქ ჩაბრძანება,

როცა მე მეფის ზრუნვაც ვიცი და მისი ზრახვაც?

და თაღარიგიც დავიჭირე...

თქვენ თვით ნახვდით,

რომ ბარაკონის ციხის ირგვლივ ჯარი ბანაკობს...

ერი, ამ ჯარისა რა დღისთვისაც გამოვიყენებ.

და ჩემს მბრძანებელ მეფეს როგორც ვასრაზოვნებ...

საჭირო არის მეფისათვის აი ეს ჯარი!

აი, ამაზე გინდ იმსჯელე, გინდ თოხუნჯე!

ხვალ, ჩემო როსტომ! ხვალ ვიმსჯელებთ... აწ ვვიან არა!

ჩემს არ ვაპირებთ აქედან წასვლას...

დიახასალისო, სთხოვე თქვენს სტუმრებს...

სორომი — რა გეჩქარებათ! მოითმინეთ, ახალი სუფრა!

სოლომე — არა, როსტომ, პატივი დასდე და ნუ აწუხებ...

დრო აღარ არის!

გოხოვთ, ბატონებო, მეღე ბატონს სურს მოსვენება!

დიახ — დიახ, სალომე!.. დამე მშეიღობის!

დიახ ანი — ძილი ნებისა! (სალომე აცილებს, ყველანი გადაინ).

დიახ — ჩემო როსტომ, ჩვენ მარტონი ვართ!

სორომი — დიახ, ბატონ!

დიახ — ერთი მიბრძანე: პირდაპირ გეტყვი!

როდემდის ვიყვეთ გადასეულნი?

სორომი — გადასეულნი? ღმერთო, კი მომქალ!

მაგას რად ბრძანებთ?

დიახ — ღმერთი არ მოგალავს.

მაგრამ შენს მეფეს დიდად იმდურებ!

სორომი — მეფეს ვიმდურებ? ეგ წერეთლის ბრალდება
გახლავს!

დიახ — მე მოგიწვევ ლეკერწაში და არ ინებე შენ იქ ჩამოსვლა.

(როსტომს სურს უბასუხოს და ბორიალებს).

ამბობენ: მტრებთან შენ კავშირი გაქვს...

სორომი — კავშირი? მტრებთან?

მაგას ვინ ამბობს?

ალბათ, მოსისხლე... ჩემი მტერი... არა, მეფეო!

დიახ — ათი დღის წინათ ალიფაშა შენთან ყოფილა,
კიდიან ფაშას თვით სწევეიხარ შენივე ნებით...

სორომი — ღმერთმა დარისხოს... ვინც უგ გითხრა...

დიახ — მომითმინე... მე ეს არ მჯერა...

არა, გარწმუნება არც დავიჯერებ!

სორომი — ბატონო მეფევ, აბა, ეგ რა დასაჯერია?
მაგრამ ავყია წერეთელი...

დიახ — მე შუაფაცებს არ ვუჯერი!

აი, ხომ ხედავ, მე თვით მოველ.

გროხრა პრადაპირ, რაც მოხდა ჩეკენში.
 როსტო მი — ბატონი მეფევ, რა მოხდა ჩეკენში?
 მეფე — შენ კარგად უცი...
 როსტო მი — არაფერი, მე არ მოგიყვდე...
 მეფე — როსტომ! მიცექირე! პრადაპირი კაცი მგონიშარ...
 ყველაფერს ამას დაგივიწყებ, ვფიცავ სამებას!
 მე არ ვარ შურისმაძიებელი! შენ ესეც იცი!
 ბევრჯერ მქონია შემთხვევა და... პო, იმას ვამბობ:
 დღეს მე ვარ ქვეყნის სურვილების კისრადოტვირთველი.
 ხვალ შეიძლება სხვა მოვიდეს და ვიდრე მე ვარ,
 უნდა ჩემს ნებას, — ხალხის ნებას — დაემორჩილო,
 გონიერება და სუკეთე ამას მოითხოვს!
 როსტომ, განსაჯეო! აბა, რას პგავს ჩეკენი ცხოვრება?
 ისედაც მტრისგან აკლებული ჩეკენი ქვეყანა,
 გაზიშულია, აღრეული, ვით უპატრონ!
 და საქართველოს შველნი თითქოს გერები ვიყვნეთ,
 ჩეკენ შორის მტრობამ ის დაბადა, რომ რაჭის ხალხი
 სრულად მოსწყვიტა იმერეთის ღვიძლ ნათესავებს!
 ერთმანეთ შორის მისვლა-მოსვლა აღვეთილია.
 ძმა ძმას ვერ ხდავს, შვილი მამას...
 და მწარე მტრობით შეგვეცვალა ტკბილი მოყვრობა.
 როსტო მი — ეგ დიახ, დიახ... წერეთელმა...
 შეგვერა გზები...

მეფე — არა! ეს შენ პქმენ...
 წერეთელი კი მხოლოდ ასრულებს ჩემს ნება-სურვილს.
 შენ, როსტომ ჩემო,
 დაქირავებულ ხალხს უსევდი მახლობელ სოფლებს...
 აწიოკებდი, როგორც მტერი გვაწიოკებდა...
 აი, ახლახან კიდევ ერთი ჩეკენი
 სოფელი დაგირჩევია...

როსტო მი ... მოუჩიმასიათ! მოუჭორიათ!

მეფე — რაც იახდა, მოხდა! აყი გითხარ. ის დავიციწყოთ...

უნდა შევრიგდეთ, გამოვნახოთ საერთო ენა!

როსტომ, მეფე გთხოვს, შენი მეფე! უნდა შევრიგდეთ!

როსტო მი — დიახ, დიახ!

როგორც მიბრძანებ...

მეფე — არა! ბრძანებით მე არ მინდა! გულს ვერც უბრძანებ!

მე მინდა ნებით შენი ნდობა და ერთგულება...

მე მინდა გული... იძულება არავითარი!

მასაც გეტევა, ჩემს ქვეშ ჩა გასაჭირო აქვთ
 მცირდება შენი დახმარება...
 წარმოიდგინე, რომ ამჟამად მე მეფე არ ვარ,
 რც შენ თავადი, ვართ უბრალო ორი ქართველი...
 ჩეკენი ქვეყანა ილუბება!
 ჩეკენ ძალგვიძს შველა, მაგრამ არ ვშველით
 (შემოღის სალომე).

სალომე — თუ მოისვენებთ, უკვე მზად გახლავს, მეფევ-ბატონო.

მეფე — გმადლობთ, სალომე!

როსტომ! ამაზე ხვალ ვიმსჯელოთ საფუძვლიანად.
 მაგრამ შენ რომ თქვი:
 თაღარიგი დავიჭირეო!.. მე ეგ მახარებს...
 მომეცი ხელი.

(თვალებში აცქერდება).

რად მაცანცახებს?

გულის უღერანი მატყუებდეს, არა მგონია...
 იმ! ხვალ ვიმსჯელოთ, დამე მშვიდობის!

როსტო მი — ძილი ნებისა!

იალო მე — გაგვითენოს დილა კეთილი!

(მეფე გადის).

როსტო მი — სალომე, იცი, გულში მწვდებოდა! რაღაცა იცის!

იალო მე — ახლა შენც წადი!

როსტო მი — ია, აქ. როგორ მესაუბრა გულში ჩაწვდომით,
 მისი თვალები ჩემს თვალებს სწვავდნენ...

იალო მე — როსტომ, მამლებმა სამჯერ იყივლეს!..

წამოდი, როსტომ! (ვაჟავს. შემოღის მოურავი).

იალო რავი — დაღლილებს ძილმა წართვა თავი...
 მაგრამ თვით მეფეს თუ არა სძინავს?
 უოულდ რამეს მოვიმიზეზებ...

ს.მ ღრმა გამოღის სალომე. მოურავი თახში შესვლას პაირებს).

პრისტო, ჩეკენი მწიგნობარი მართალს ამბობდა:
 ურის უკან სიკვდილი ზისო! (შესული მოტრიალდება).

ვილაც ხმაურობს... მანდ რომელი ხარ?

(უცბად გაჩნდება ვითრგი).

ვითრგი — ვერაგო! საით მიიბარები?

მოურავი — გიორგი, შენ!

გიორგი — დიახ, გახლავარ!

(დაშიბაჩას დაახლის და მიიმაღება, შემორბის სალომე).

სალომე — როსტომ! როსტომ!

(შეზროვალს სურს დაკიცილოს. შემოდის როსტომი).

როსტომი — რა ხმაურია?.. სალომე... მაშ შენ? სალომე. მაშ შენ?

არ დაიშალე? მერე, ვინ მოჰქლა? ვინ? ვინ?

იმათმა კაცმა? მაშ ვინ? ჩვენმა?

არ შეიძლება ეს გამეღლავნო...

შაშინ ხომ ჩვენ ვართ...

ოჲ, სალომე...

სალომე — არა, ვიღაცა...

უფროდ თურქი!

როსტომი — ჰეი, ჩაკეტეთ ყველგან კარები!

ვიღაცა თურქი შემოგეპარვია, ვიღაცა თურქი!

(სალომეს მივარდა)

სალომე წადი! შენ აქ ნუ დგახარ!

(სალომე არ მიდის. შემოდიან მეფე, პაპუნა ლორთქი ფანი და სხვები).

პაპუნა — რა ხმაურია? სროლის ხმა იყო...

მეფე — რა მოხდა განა! რა ამბავია?

როსტომი — კაცი მომიყლეს, მეფის ერთგული!

მუხანათობა, ალბათ, მტრებისგან!

სალომე — მან მე წერძნ შემატყობინა,

ვერ გითხარ, რადგან ლხინში იყავით...

რაჭას თურქები შემოსევია...

ალბათ, ჩემს კაჩხე გარეწარი ვიღაცა არის

და, ვეჭვობ, სწორედ იმან მომიკლა, რადგან ეს იყო

თურქებისთვის საშიში მტერი!

მან საიდუმლო მათი იცოდა.

როსტომი — დიახ, მეფევ, მიტომ მომიყლეს.

სხვა რა ვიფიქრო?

სხვა ვინ იზამდა?

თქვენი ამალით უნდა ისწრაფოთ...

ალბათ, თურქები იმერეთსაც შეესევიან...

უნდა ისწრაფოთ და გწამდეთ ჩემი,

აქ დავამარცხებ და შემდეგ ჯარით მოგეშველებით!

სალომე — ღმერთო მაღალო! შენ ჰყარვიდე მეფე სოლომონს!

გოლიაშვილის გმირები

გვალი ურაოი

შეფის დარბაზი

(გარეთ გამარჯვების სტოლი)

დედოფლი — მარინე ჩემო!

რატომ ხარ, შეილო, დალონებული?

მამა მოვიდა გამარჯვებული!

კარინე — ის, ის არ მოჰყვა!

რატომ არ იყო ის მამის გვერდით?

რატომ არ იყო?

დედოფლი — შენ გიორგიზე ნაღვლობ ასე? ნუ გინდა, შეილო!

ის იქნებოდა სხვა მეომრებთან...

და, ალბათ, მოვა!

ასეთ დიდ ზეიმს უნდა მოჰყვეს შენი ზეიმიც...

უროს გამოვნახავ და მამაშენს მე ვაეუმულავნებ...

მამას მე ვეტრიცა...

კარინე — არა! არა! მამას ნუ ეტყვი...

(შემოდიან: მეფე, პაპუნა, ბერი, შეციცული და მათ შორის გვალია. კათალიკოსი ლოცავს მეფეს).

კარინე — მოგვეახლა ნათელი მხიარული,
რომელმან შთააგდო ჯოჯოხეთად ურჯულოება!
დავითის მორჩი, ღვთით მტერს მორჩი
და იხარებდე. მეფე სოლომონ!

კარინე — კეთილად ზრდანე,
და ღლეის შემდეგ ეგ სიტყვები
წარწერილ იქნას მეფის ბეჭედზე:
„დავითის მორჩი ღვთით მტერს მოვრჩი“,
მოვრჩით... დიახ, თქმა აღვილა...

თოქის მტერს მოვრჩით,

ისგრამ გულს მიღრღნის რაღაც ეპერ...

პო, არაფერი არაფერია! (მხიარულად)

პაპუნა ჩემო! ხვალაც, ზეგაც...

ხალხს შენ უნდა გაუმასპინძლდე...

უნდა ლხინობდეს ური ჩემი გამარჯვებული!

ა კ უ ნ ა — ასეც იქნება, სვემალალო, მეფეო ჩემო!

მ ე ფ ე — როდესაც ფაშას ბოლო მოვულე.

ლევანი აღდგა და თათრის ჯარს მეთაურობდა.

ვინ მოპქლა ლევან აბაშიძე?

ჩემს წინ წარმოლგეს!

სისხლი დაღვარა მან ბიძაჩემის!

ბ ე რ ი — შემოიყვანეთ! მეფევ-ბატონი, მართლა ურისხდებით?

მ ე ფ ე — შენ როგორ პერნებ?

ხ მ ე ბ ი — აგერ, აქ არის... (შემოპყავთ ვ ვ ვ ლ ა).

გ ე გ ე ლ ა — მეფევ ბატონო...

მ ე ფ ე — მოიცა! შენ ხომ... ერთხელ...

ეს როდის იყო?.. ვიცი, ვიცი!

შეფიცულებმა რომ აპატიეთ.

ვგონებ, ვეგოლა თევდორაძე ზარ!

ბიძა მომიყალ?

გ ე გ ე ლ ა — მე თქვენთან ყოფნა დამავალა ლორთქიფანიძემ!

მამლის ყიფილზე,

როდესაც ბერი წულუკიძე ეკვეთა თათრებს,

მაშინ თქვენ მარჯვნით შეუტიეთ, პაპუნაშ — მარცხნით.

შეიქმნა დიდი ფიცხელი ომი,

ეს იყო აღრე გარიუჩაზე...

თქვენ ამ დროს ფაშას უკვე შეხვდით! მიაგდეთ ცხენი

და ერთის დაკვრით ძირს გადმოაგდეთ!..

შეერთა მტრის ჯარი... მაგრამ ლევანმა...

მე არ ვიცოდი, თუ ბიძა იყო,

დიახ, ლევანმა იწყო სარდლობა...

თავს ის უყრიდა... ჩვენებს ხოცავდა.

საჩინო, ჩემი ამხანაგი, ივგზავნე ხეზე

და ვაძახინე: „ფაშაც მოპქლეს! ლევანიც მოპქლეს!...

ამით მინდოდა გამხნევება ჩვენი ჯარისა.

ბართლაც გამხნევდა...

ლევანს ესმოდა ხიდან ძახილი.

ის ტოტზე გასულს დაეძებდა, ხოლო მე ლევანს...

როცა ნიშანში ამოვილე — გავარდა თოფი...

და... ასე მოხდა...

მ ე ფ ე — მოპქალ?

გ ე გ ე ლ ა — ცხენიდან ძირს გადმოვარდა.

მ ე ფ ე — ბიძა მომიყალ? ბიძა ლევანი?

გ ე გ ე ლ ა — მე თქვენი ბიძა არ მომიყლავს. (უჩინვებს).

მ ე მოვეკალ მტერი, ჭვეყნის ორგული!

მ ე ფ ე — (უცემარის) ყოჩალ, ვაჟვაცო!

ითვლებოდე ჩემს რჩეულ კაცალ!

შენი სხელი შემს ნაშეირთ მიეცეს კვარალ

და შენთვის ჯილდო!

კართუხუცესო, ისეთი ჯილდო.

რომ არ მიეღოს ჯერ არც ერთს თავაღის!

გ ე გ ე ლ ა — ეგ მე მომანდე...

მ ე ფ ე — მან კი... ვისგანაც იმედი მქონდა... როსტომ ბატონმა..

გ ე გ ე ლ ა — დიახ, მეფეო!

მოგვატყუა მან ვერაგულად!

არც ერთი კაცი არ დაგვახმარა!

არავითარი თურქი რაჭის არ შესეყია!

პირიქით, ვფიქრობ,

ჩვენი ამბავი მტერს აცნობა -- და მიტომ იყო

მომზადებულნი დაღის ჯარით ხრესილთან დაგვხვდნენ.

რას გამო დადი

შსხვერპლიც გავიღეთ...

მ ე ფ ე — დიახ, დიდი შსხვერპლი გავაღეთ!

გ ე გ ე ლ ა — ხოლო ვერაგი....

ასევ ზვიადად გადმოგვყურებს ბარაკონიდან!

მაგრამ ყველაზე მეტს ეჭვს ჰებადებს, რომ იქ ყოფნის დროს

მისი ერთგული მოურავი იქნა მოკლული...

რა უქნა, არ მჯერა. ვითომ იგი თათრებმა მოპქლეს!

მაშ რა ვიღიქინა?

უთუოდ ლმერთმა ჩალაც ხიფათს გადაგვარჩინა!

მ ე ფ ე — რა ეჭვებს აღძრავ? ხიფათს? რა ხიფათს? (აცერდება)

როგორ? მე ვიყავ მაშ ვანსაცდელში?

გ ე გ ე ლ ა — შესაძლო არის...

ე ლ ე — ბაგრამ ვრნ იყო ჩემი მხსნელი? არც შენ, არც ბერი...

და არც სხვა ვინმე იქ ამალიდან...

მაშ როგორ მოხდა?

ა რ ი ა — ბატონო შეფევ, მომიტევეო, თუ მოგახსენებ!

რა მიზეზია, რომ ერთს აფთარს, მთაში შეხიზნულს,

ამდენ სიგლახეს აპატიებ და არ გვიბრძანებ?

მ ე ფ ე — რა პასუხს მოსთხოვ ტყეში ნადირს, კაში მტაცებელს?

შ ე ფ ე ი ცუ ლ ნ ი — (ერთმალ, მოულოდნელდ). მეფე სახტად დარჩება).

ჩვენ მოგვეც ნება, გავუსწორდებით!

კ ე ფ ე — რა ამშავია? თითქოს შეთქმულხართ!

გარეშე მტერთან ბრძოლას მოვრჩი და ახლა გინდათ,
გინდათ ვეომო რაჭის მფლობელს? ერთს

ბარაკონელს?

უ ვ ე ლ ა ნ ი — გვიბრძანე მხოლოდ!

მ ე ფ ე — განა არ იცით, ბარაკონი რა სიმაგრეა?

უ ვ ე ლ ა ნ ი — გვიბრძანე მხოლოდ, ბარაკონი — აღარ იქნება!

ტ ე ფ ე — (ჩაფიქრდა) არა, ძვირფასნო! ჩემს ყმას ვეომო?
ეს არც იქნება საკადრისი! და არც მოხდება!

ძმა ძმას შევაკლა?

ეს იქნება მხოლოდ სიშმაგ...

უგუნურება....

პ ა პ უ ნ ა — მაშ რას გვიბრძანებ, როცა ის ასე... საშიში ხდება...
მ ე ფ ე — არა, საშიში ის აღარ არის!

დიდხანს ვერ გასძლებს ბარაკონში ჩაკეტით იჯდეს!

როსტომს არა პყავს, ვანც აქამდე ზურგს უმაგრებდა!..
ის მოვა თვისით!

პ ა პ უ ნ ა — რომ არ მოვიდეს და უარესი ცეცხლი გვაწვიმოს?
მ ე ფ ე — თქვენ ნუ გგონიათ. ბრაზს არ მგვრიდეს, ან გულს

არ მტკუნდეს,

რომ მას თავისი საქციელით ზიანი მოაქვს...
იგი ოდესმე ამის გამო პასუხსაც აგებს...

დიახ. აგებს!

პ ა პ უ ნ ა — ბოლიში, მეფე!

მართლაც, დღეს არ ღირს მასზე ვიმსჯელოთ,
მაგრამ თქვენ ბრძანეთ:
პასუხს აგებსო.

პასუხსგება არის ქვეყნად ათასნაირი,
ათასნაირი თვით სასჯელიც მოიპოვება!
მაგრამ ის, როგორც მოღალატე ჩვენი ქვეყნისა, —
არის თუ არა ღირსი იმისა,
რომ მიესაჯოს სიკვდილით დასჯა?

(მეფე დუშა. გადახდავს დანარჩენებს).

მ ე ფ ე — მერე?

ბ ე რ ი — მე მოგახსენებ და მაპატიე:

მისი მოსპობა ადგილი არის,
მაგრამ, მეფეო,

შთამომავლობაზ უნდა იცოდეს,
რომ დაისაჯა იგი ქვეყნის ღალატისათვის!

უ ვ ე ლ ა ნ ი — დიახ. დიახ! ღალატისათვის...

ტ ე ფ ე — აი, ინებე! აქ დაწვრილებით

აღნუსხულია, ყველა მისი ლანაშაული!

შთამომავლობა ამით გაიგებს...

გამოუტანე განაჩენი და სხვა ჩვენ ვიცით.
(მაცე ქალალის ათვალიერებს, მკედრული სიჩუმე).

ტ ე ფ ე — პაპუნა ჩემო,

იცი, ქალალდში რაც სწერია? შენც აღასტურებ?

პ ა პ უ ნ ა — ვიცი და კიდევ ვადასტურებ!

ტ ე ფ ე — მაშ ყველას აზრით...

უ ვ ე ლ ა ნ ი — ის უნდა მოკვდეს!.. ის უნდა მოკვდეს!

(შემოდის მხლებელი).

ა ხ ლ , ბ ე ლ ი — დიდხანს სიცოცხლე ჩვენს მეფე-ბატონს!

ტ ე ფ ე - რაო, ყაწვილო?

ა ხ ლ , ე ბ ე ლ ი — გეაბლათ რაჭის ერისთავი. როსტომ ბატონია
თვისის მეუღლით....

(საერთო გაკეირვება).

ტ ე ფ ე — რაჭის ერისთავი?

პ ა პ უ ნ ა — როგორ? როსტომი?

ტ ე ფ ე — ნუთუ მართლა თავის ფეხით?

პ ა პ უ ნ ა - ეს როგორ აეხსნათ?

ვერაფერს მიეცხდი... — საკვირველია!..

კ ა ც ა უ რ ი ა ი — თავხედობაა თუ სხვა რამე, ვერ გამიგია.

პ ა პ უ ნ ა -- თუმცა. დიახ... მეფე ჩვენი მართალს ბრძანებდა...

საკვირველი არაფერია...

პ ა პ უ ნ ა — (პაპუნას საიდუმლოდ)

ა მ რ ა მ ი ბ რ ძანებ დ ა რ ი მ ი ბ რ ძანებ? როგორ მოვიქცე?

კ ა ც ა ც ა დ შ ე ვ ი ბ რ ი რ ი, თუ აქვე მოვკლათ!

ტ ე ფ ე -- მეფეს აღროვე!

ტ ე ფ ე — შეხვდით ჩვენს სტუმრებს!

პ ა პ უ ნ ა — (კარგთან მისული)

მ ე ს დ ე დ ე ფ ა ლ ი შეხვედრია... მობრძანდებიან!

ტ ე ფ ე — ახლა კი იგი ჩვენს ხელში არის...

ტ ე მ ი ლ ი ა ნ ა ნ : დ ე ღ ა ფ ა ლ ი დ ა მ ა რ ი ნ ე, შემდეგ ამაღა. დ ე ღ ა ფ ა ლ ი მოაცილებს როსტომს და სალომეს. ძევეა გიორგი და როს-

ტომის მცირე ამაღა).

დ ე დ ო ფ ო ლ ო — ბობრძანდით, როსტომ!.. პობრძანდით, სალომე!

ვ ა ვ უ ნ ო — კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, ბატონ როსტომ!

დ ე დ ო ფ ო ლ ო — მეფევ-ბატონი. ჩვენთან როსტომი... თავის

ცოლ-შეილის

რ ო ს ტ ი მ ო — მოგესალმები, სწორუბოვარო გვირგვინოსანო!

მ ე ფ ე — როსტომს სალომე! ჩემი სალომე!

ს ა ლ ო მ ო — ჩემს თვალებს მუდამ ეხილოს შენი ბეღნიერება!

მ ე ფ ე — ჩვენ და მწყალობელო!

შენ იხარებდე მშვენიერი შენი მეუღლით!

მომენატრენით და უთქვენოდ მზე არ მზეობდა.

ბეღნიერი ვარ, თვალი ხედავს თქვენს ნათელ სახეს.

მ ე ფ ე — გმადლობთ, სალომე...

უ ვ ე ლ ო ნ ო — როდესაც მეფე მიესადმა.

— კეთალად დამირჩი, ბატონი როსტომ!

— რაჭის ერისთავს დღეგრძელობას ვუსურვებ მუდამ!

— პატივურემულო ბანდილოსანო, გასურვებ კეთილს.

ო რ ი ს ტ ი მ ო — ეჭ, ბატონებო! თუმც ავად ვიყავ, მოსალოცად

გამოვეშურე,

მოვისწრაფოდი, რომ თქვენს ზეიმს არ დავკლებოდი.

უ ა ლ ო მ ო — გულით გილოცავთ გამარჯვებას ურწმუნო მტერზ;

თქვენი სამეფო ისე რიგად დააგვირგვინეთ,

ვით წინაპარმა თქვენმა, გურამ ბაგრატიონმა,

რომელს დაედგა ხელთუქმნელი ძლევის გვირგვინი!

რ ო ს ტ ი მ ო — როგორც უბრძანა მაცხოვარმა მოციქულ პეტრეს

კლდე ხარ და კლდეზე მსურს ავაგო ეკლესიაო, —

აგრეთვე თქვენ ხართ გმირობის კლდე და ხართ სიმტკიცე

ქრისტიანობის!

შევთხოვ განგებას, თქვენი მეფობის განაგრძოს დღენა.

ჩვენა ქვეყნის საკეთილდღეოდ!

(მეფეს კვლავ მიესალმება. კალახე კოცის, მეფე ხელს გაუწევდის.

გიორგი მეფეს ხელშე კოცის.)

მ ე ფ ე — როსტომ ერისთავო! ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ

დმერთსა ვთხოვ, ის შემასრულებინოს

შენთვის და ჩემი სამეფოსთვის,

აიც მსურდეს და გულში მედვას.

უ ვ ე ლ ო ნ ო — ამინ!

ს ა ვ უ ნ ო — (სიჩუმის შემდეგ. მნიშვნელობით)

ამინ! ამინ!

(მოსტომა ვაპუნას მნიშვნელობით გადმოხედა. შეკრთა, იყიდა მოწმინდა. სალომემაც იგრძნო მის თქმაში რაღაც საბედისწერო).

ს ა ლ ო მ ო — მეუღლე ჩემი მუდამ ეცდება,

რომ ლეთის შეწევნით სიკეთისათვის

სამაგიერო გადაიხადოს!

შ ა ვ უ ნ ო — სიკეთისათვის სამაგიერო

სიკეთე გახლავს,

პატიოსანო მანდილოსანო!

შ ა დ ო ფ ო ლ ო — ახლა მობრძანდით

გამარჯვებულსაც, ბოდიშმოხდილსაც

შეერგოს ლხინი... გოხოვთ, ბატონებო!

შ ა ვ უ ნ ო — აბა, მობრძანდით!

შეიძლე სურათი

იგივე სცენა

სასახლეში ლხინია. მარინე და გიორგი

ი ო რ ი გ ო — რაჭაში ერთი ყვავილია... ჰქვია ლანდალი.

ი ა რ ი ნ ო — მარტო ერთია?

ი ო რ ი გ ო — ლამაზი არის, სურნელებით დამათრობელი!

ი ა რ ი ნ ო — ბაღში იზრდება?

ი ო რ ი გ ო — არა, მთაში! ძალიან შორს, თითქმის მწვერვალზე.

მარტი ქურციკიც იქ ვერ აღწევს და ვერც ირემი...

ი ა რ ი ნ ო — მერე, შენ ნახე? როგორ ნახე?

ი ო რ ი გ ო — დაბ, მე ვნახე...

როცა ხარ ახლოს; გინდა მხოლოდ მას ერთს უმზირო!

როცა შორდები, მაინც თვალით იმ ყვავილს ხედავ...

ასეთი არის მომზიბლავი, ნაზი ლანდალა.

ი ა რ ი ნ ო — რად გაიხსენ შენ ის ყვავილი?

ი ო რ ი გ ო — შენც იმას გავხარ!

ი ა რ ი ნ ო — ყვავილს? ის ხომ მცენარე არის და უსულგულო.

ი ო რ ი გ ო — მშვენიერებით, სინაზით სავსე!

როცა ვარ ხელოს, მინდა მხოლოდ შენ ერთს გიმზირო,

როცა გშორდები, მაინც თვალით მხოლოდ შენ გხედავ!

ამიტომ მინდა ეს საჩუქარი შენს ყელს ამკობდეს...

ი ა რ ი ნ ო — ეს საჩუქარი? ეს ხომ... ეს ხომ...

ი ო რ ი გ ო — ჩემგან სახსოვრად!

მარინე — შენგან სახსოვრად?

ეს ხომ დანიშნულს...

იცი, რას გეტყვი?

(იფონებს, რაღაც სურს უთხრას).

ჰო... ის ყვავილი სხვამ რომ მოსწყვიტოს?

გიორგი — თუ თვითონ ყვავილს ის ურჩევნია!..

მარინე — არ ურჩევნია...

მთაში მას, ალბათ, ნახავს ვინმე სხვა მონადირე

ხელმწიფის ვაჟი!.. მაშინ? რას იზძე?

გიორგი — ეს სახსოვარი თავდები არის,

რომ მას სიკედილიც ვერ დამაშორებს!

მარინე — აქეთ მოდიან! მაშ ასე!.. ჰო! ქორგი... იცა...

ხვალ დედოფალთან შემოიარე!

მასთან ვიქნები!

(მოულონელად ყოცა და გაეცალა, შემდეგ ისევ მობრუნდა).

გიორგი! დედოფალთან! (გარბის სიცილით).

გიორგი — (დაბნა, აენთო).

— „სხვა მონადირე... ხელმწიფის ვაჟი“?

არა! არა! არ შეიძლება!

ჯულში ჩამეჭდო საბედისწეროდ!..

მაგრამ, როდესაც მამაჩემი ბედს შეურიგდა

ითხოვა ზაგი, მეფემ შეუნდო...

რაღაც უწება საბედისწერო

და ჩემთვის იგი მიუწვდომელი?

ხვალაც შევცდება მას დედოფალთან.

ვეტყვი კველაცერს!..

(შემორბის მეთოდე)

მეთოდე — გიორგი! გიორგი!

გიორგი — რა იყო, მეთოდე!

მეთოდე — მამა დაგეძებს! დედაც დაგეძებს!

გიორგი — რას დამეძებენ?

აი, მე აქ ვარ!

მეთოდე — უნდა წავიდეთ!

გიორგი — მოვრალი ხომ არ ხარ?

რა დროს წასვლაზე ლაპარაკია!

მეთოდე — ასე თქვა მამამ.. ასე თქვა დედამ!

წამო, წამო!

გიორგი — ნუ ბავშვობ-მეთქი!

მეთოდე — არა, დაგეძებს... აგრე მამაც და დედაშენიც.

(შემოდიან სალომე და როსტომი აღელვებული).

როსტომი — გიორგი, შვილო!

სალომე — არ შეიძლება აქ დარჩენა, უნდა გავშორდეთ!

გიორგი — რა დაგეძმართათ?

როსტომი — თვალებით მჭამენ... ისარს მიყრიან...

სალომე — როგორმე უნდა ჩვენ თავს ვუშველოთ!

და, შენც გიორგი... აქ საფრთხე გელის...

გიორგი — პირიქით, მამას

შეცე ალექსით ეპყრობა და გველაზე მეტად...

სალომე — ეგ ალერსია, რომ დაგლუბავს შენც, მამაშენსაც...

შეილო, ვერ იცნობ ამ პირმოთნე და ცბიერ გველებს.

გიორგი — ვიცნობ, ვიცნობ! შინაურებსაც, გარეშეებსაც!

როსტომი — დედაშენი მართალი არის!

ჩაშაფრებიან, როდის გამგლიჯონ!

სალომე — ხომ შენც დარწმუნდი:

შეუცულების მეთაური ლორთქითანიძე,

ნახე, როგორის თვალით გიცევერდა...

გიორგი — როგორის თვალით? რა მოგეჩვენა?

სალომე — იაშვილს ჩუმად რაღაც სიტყვა ჩაუფუჩუნა...

წელან, ვერ მიხვდით?

მეფემ რომ ბრძანა:

„რაცა მსურდესო და გულში მედვას“,

ხოლო პაპუნამ დააყოლა: „ამინ! ამინ!“

ნუთუ ვერ მიხვდით?

პანაშვიდი გადაგვიხადეს...

გიორგი — რას ამპობ, დედა!

როსტომი — ვიგრძენ... მიგუხვდი...

მეთოდე — მაშ თუ ასეა, დროს რაღაც ვკარგავთ?

წავიდეთ ჩქარა! გიორგი, ჩქარა!

გიორგი — მეთოდე! გამეცალე!

სალომე — მე გეუბნები! უნდა დავტოვოთ!

გიორგი — მე მზად ვარ, მაგრამ... თქვენც მომისმინეთ...

თქვენ გეჩენებათ კეთილი ივად

და ეს იმიტომ, რომ სინდისი გისაყველურებთ.

თქვენ ფიქრობთ, ალბათ:

რაკი პარმენი იმ ღმეს მოპკლეს,

იცინ მისი მოკვლის მიზეზიც!

(როსტომი და სალომე შეკრთნენ, ერთმანეთს გადახედეს).

სალომე — და როსტომი — რა თქვი? ეგ რა თქვი?
გიორგი — არავინ იცის, დამიჯერეთ, ვერც გაიგებინ
პარმენის აშშავს!

ის საიდუმლო მხოლოდ შენ იცი და დედაჩემა.

პარმენიც მოჰკლეს, სხვა ვინდა გასთევამს?..

ვფიცავ... მეტწმუნე, მამაჩემო... არავინ იცის!

სალომე — რას ლაპარაკობს? ადამიანო, რას ლაპარაკობს? ან შენ
რა იცი?

გიორგი — რომ მოჰკლეს იგი ოთახის წინ, როგორ აზ ვიცი...

(როსტომი ზარდაცემული, სალომე უარესად, ეჭვით
შეპყრობილი გიორგის აცქერდება).

სალომე — ნუთუ? ო, ღმერთო!

ეს ჩვენი შვილი...

ეს?

მან მე დამღუპა

და მასთან ერთად

ჩემი აჯახიც!

როსტომი — რა გემართება?

სალომე — ეს? ჩვენი შვილი ..

არა, არა! უნდა წავიდეთ,

მით უმეტეს ახლა! ახლა! უნდა წავიდეთ.

რაც შეიძლება მალე! სულ მალე!

არ დამცხრალან შენს წინააღმდეგ...

და შენი სისხლიც შენი მტერია...

და როგორც გითხარ. შესთხოვე მეფეს.

— აგრე, უცქირე!

ლორთქიფანიძე აგვდევნებია...

თვალს არ გვაშორებს!

თითქოს ეჭვიც კი აულია, რომ გაცლას ვცდილობთ!

(გიორგის).

უნდა წავიდეთ, და შენ პირველმა, უნდა ისწრაფო!

ის არ მოხდება, რაც შენ გულში გაქებს.

არა! არა!

გიორგი — თქვენ გაიძულებთ!

რაკი ასეა,

აქაურობას მე გავეცლები.

მაგრამ ნუ ჰევნებ, რომ რაჭაში

ფეხილა დავდგა. შორს! შორს თქვენგან!

როსტომი — შეჩერდი!

(გიორგის წინ გადაეღობინ როსტომი და სალომე; უბნებიან: „შეჩერდი, უნდა დაესწრო, სად მიხვალ?“)

გიორგი — (ცყვირებს) არა, არა!

გამშორდით! (გადის, შემოდის ბერი).

გიორგი — რატომ ინებეთ აბრძანება, როსტომ-ბატონი?

როსტომი — ცოლ-შეილთან მქონდა საუბარი... და აზ დავშალავ... მინდა მეფესაც მოვახსენო... კარგს იზიმთ, ბერი.

შეირე ხანს სტხოვოთ!

გიორგი — ეს შეიძლება, რადგან სუფრა უკვე გათავდა და ახლა მხოლოდ ტკბილ შაირებს შეექცევიან!

აგრე, თვით მეფე და წერეთელიც!

ჩემს ჩაურევლად აგისრულდა გულის წალილი!

ჩეც ნეტა ნატვრა ეგრე-მალე მისრულდებოდეს!

როსტომი — აა, დაესწარ ჩვენს საუბარს — აგისრულდეს..

(შემოღიან შეცეც და პაპუ ნა).

ე ფ ე... — თვადო როსტომ და თქვენც სალომე!

რომ ვეღარ გნახეთ იქ ჩემს გვერდით, მე გულს დამაკლდა.

ე ფ ე ნ ა — შენი გალობა და შაირი გულს ახალისებს...

როსტომი — დიახ, კარგია შაირის თქმა, ხალისსაც გვაძლევს.

გაგრამ, თავადო, და თქვენც, ჩემო კეთილო მეფევს.

მსურს მოვახსენოთ ერთი შაირი უკვე ნაცადის

კაცისგან თქმული!

ე ფ ე — სიამოვნებით მოგისმენ, როსტომ! ბრძანე... მოგისმენ!

როსტომი — დავბერდი, ჩემო მეფევ-ბატონი!

თითქმის, რომ ბევრად უფროსი ვარ თვით პაპუნაზე!

უადმყოფობაც მე გამიხდა ხშირი სტუმარი!

კერძე ეს რაჭაც, მაღალ მთებში მტკიცედ ჩამჯდარი,

ტვირთაა-მძიმე...

ასსაკუთრებით, როცა თოვლის დასდებს თითქმის ადლამდე.

კერძო ვახერხებ ხშირად ხლებს და თქვენს სამსახურს.

ის ამის გარდა, რომ თქვენც იყოთ დარწმუნებული

ას ჩემმა მტრებმაც ჩემზე ძვირი ვეღარა თქვან-რა,

აქცევ ბატონო, გთხოვთ მიიღოთ ჩემი სამკვიდრო:

უხე-სიმაგრე ბარაკონში...

აბროლაურში... ონში... სევაში...

და, ერთის სიტყვით, ყველაფერი, რაც არის ჩემი

და რასაც ჰქვიან სამფლობელო ერისთავისა:
აზნაურებით, თავადებით და გლეხეაცებით!
სამაგიეროდ, გთხოვ, მახლობლად მომცე მამული,
რომ აქ დავლიო ჩემს კოლ-შვილში სიცოცხლის დღენი.

მ ე ფ ე — უცნაურს ამბობ!
ს ა ლ ო მ ე — რატომ უცნაურს?..

არა, გარწმუნებ და ვადასტურებ.
რაც არის ჩვენი და ჩვენც მასთან, — მეფეს ეკუთვნის!
შენს ახლო ვიყოთ, ეს იქნება ბედნიერება!
როსტომი — მიიღე, მეფევ! (უჩინებს)
დარწმუნდნენ ჩემი მოძულენი, მტრობით სავსეინ,
რომ მე ერთგული ყმა ვარ შენი და სიკვდილიდე
ვიქნე ერთგული...

ს ა ლ ო მ ე — გთხოვთ, შეიწყნარო როსტომის თხოვნა.
დაგვდე პატივი, ნუ ეტყვი უარს!
მეც მუხლმოყრილი...
ჭალალდს აწვდის, ბერი უგუნებოდ ართმევს.

ბ ე ფ ე — პაპუნა! ბერო!
გესმით ნათქეამი?
ბ ე რ ი — გონიერებას შთაგვაგონებს ღმერთი მაღალი!
პ ა პ უ ნ ა — ალბათ, ერისთავს ღმერთი ჰყავს შემწე...
ს ა ლ ო მ ე — (თვისთვის) შენ კი, ო, შენ კი...
ბ ე ფ ე — (აყენებს როსტომს) როსტომ! ჩემს კულთან!

მჯერა! მჯერა! რომ კაცის გული
სძლებს ყოველივეს და ბოროტი იგი არ არის...
ადამიანი სიეთისათვის დაბადებულა...
ხომ ასე არის, ჩემო სალომე?..
მადლი უფლისა დღეს ჩვენზე არის...

ს ა ლ ო მ ე — დიახ, მეფეო, შენ იხარებდე,
როგორც ეს გული გამხარებია...
ბ ე რ ი — (ჩუმად პაპუნას) გადარჩა!.. მაინც გადარჩა!..
ბ ე ფ ე — პატიოსანო, ერთგულო როსტომ!
შენთვის პირველი ვეზირობა მიბოძებია!
ს ა ლ ო მ ე — დიდი მადლობა... ქმრის მაგიერ...
ბ ე ფ ე — შენს შვილს სარდლობა! მეთოდეს კი მდივნბეგობა!
ს ა ლ ო მ ე — ბელნიერება!
ბ ე ფ ე — და საცხოვრებლად... საცხოვრებლად... იგი სასახლე,
წელს რომ გეგუთში განვაახლე... თამარ მეფისა...

თაველი სოფლებით... უკელაფერი, რაც საჩემოა!
მას ჩვენ ხვალვე დაგიმტკიცებთ ხელის მოწერით!
როსტომი — დიდი მადლობა მომიძღვნია, ბატონო მეფევ!
ს ა ლ ო მ ე — დიდი მადლობა.. გულუხვობით გვაბედნიერებ...
ბ ე ფ ე — ხვალ პარაკლისი!
რომ კიდევ ერთი გამარჯვება ღმერთმა მოილო...
ლ ი ლ ო მ ე — ეს გამარჯვება არის ზევი მოყვასთა შორის!
ბ ე ფ ე — რაც ჩვენს ქვეყანას უფრო მეტად აპედნიერებს!
დიახ, ძვირფასო. სალომე ჩემო!
პეტ, მისმინეთ!
ახლა მსურს ლხინი! ჩემს მეგობრებთან...
ქვეყნის ერთგულ ნათესავებთან.
დღეს მიხარია!.. მიხარიან სხვა სიხარულით...
მეფე აგივსებთ ფიალს ღვინით
ჩვენი როსტომის და სალომეს პატივსაცემად!
მიგვიპატიუე, პაპუნა ჩემო! მიგვიპატიუე...
(პ ა პ უ ნ ა. როსტომი, ს ა ლ ო მ ე, ბ ე ფ ე თ ო დ ე, გადიან).

ბერო!
ბ ე რ ი — მიბრძანე!
ბ ე ფ ე — მოდი ახლოს...
ა. ეს! წელან შენ რომ გადმომეც...
ჭალალდს აწვდის, ბერი უგუნებოდ ართმევს)
სად აგინუსხავს დანაშაული,
რისთვისაც უნდა დასჯილიყო იგი სიკვდილით, --
დახიე იგი!
ბ ე რ ი — ბატონო მეფევ!
იქნებ ინებო და შევიცადოთ?
ც ა ფ ე — არა! დახიე! დახიე-მეთქი!
ამდენი ეჭვი, უნდობლობა კაცს გააგრძებს!
მინდა ვერწმუნო, მოვიშორო ყოველი ზინჯი...
ამიტომ... ვამბობ: დახიე ახლავ!
(ბერი ხევს და თან მეფეს თვალებში შესცერის საყვედურით).
ბ ე რ ი — ბრძანოს უფალმა... ალარ დაგვეტიდეს...
ბ ე ფ ე — არ დაგვეტიდება! მას ეპატიოს!
ბერო ძვირფასხ!
შინაურმა შფოთმა და მტრობაშ
ყველა დაღალა...

შეც დამლალა... გესმის, ბერო, დიდი დამლალა!
მაშ მომეცით, მომეცით შვება,
რომ ჩვენი ძალა მოვახმარო ქვეყნის სიკეთეს!
ბერი — (უზებს) შენ იხარებდე სიხარულით ჩაუქრობელით!
ბეფე — — ახლა კი ლხინი! სიძლერა! ცეკვა!
როგორც მე ვხარობ, ხარობდეს ყველა...

მოწევებულება შეოთხე
შემვიდე სურათი
ფარდის ჭინ

გამოჩენდება პაპუნა წერეთელი.

ბერი — ბოდიში, პაპუნა! ბოდიში, ბატონო! ბოდიში, შეგაჩერეთ!
ბეჭანა — ჲა? ბერო შენ?
გზად მიმავალიც როსტომზე ვფიქრობ.
სულაც არ მიკვირს, რომ ფარ-ხმალი თვითვე დაპყარა.
მაგრამ ხანდახან ეჭვი მიპყრობს...
უქნებ ჩვენ ყველა,
და, ჩვენთან მეფეც, მოატყუა და თავს უშველა?
ბერი — ჯერ არ შემცდარა ოქვენი ალღო და წინათვარება!
ბეჭანა — როგორ, თავადო? თქვენ რაღაც იცით...
ბერი — დიახ, გავიგე...
თქვენ მართლა მიხვდით... მან თავს უშველა.
ბეჭანა — როგორ!
ბერი — აი, წერილი! თავაგდებით მასხარად გვიგდებს.
ამას გვწერს გზიდან...
ბეჭანა — წამიკითხე, ღვთის გულისათვის...
ბერი — „შენსა მოველ
და შევამკობ შენსა ტანადობასა,
შენი უდასტურობა არღვევს ბატონყმობასა!“
ბეჭანა — არა მესმის რა!
ბერი — ჩვენს მეფეს სამჯერ შეურაცხოფს ქარაგმულ თქმებით:
შენ სამოელო,
შენ სატანაო,
შენ იუდაო!
ბეჭანა — აბა, რას ამბობ? მეფეს სწერს მაგას?
ბერი — თქვენს მზეს ვფიცავ, უარესებსაც! აი, გასინჯე:
ასე ასე არ იქნების ბასილა და კვირიკაო!
აკისეს მართმევ, მინდორს მაძლევ. დავჯდე უნდა ვირიკაო!
„თუ მიპირობ ამოწყვეტას, აწ მობრძანდი, რაღას ჰყოვნი?
აკისე მიდგას მალალ კლდეზე და ზედ მოკვრით ბარაკონი
„გემორჩილო, არ გახლავარ ქაჯაია, შენი გერი!“
ბეჭანა — მეტისმეტია!

ნუთუ ოჯახურს ცხოვრებასაც ქირდაგს უტიფრად?
ბერი — დიახ, დასცინის... შეურაცხოფს თვით დედოფალსაც!
რაკი ახსენებს ქაჯაიას გერს...

პაპუ ნა — ვაი სირცევილო!
ბერი — რა ვენათ, პაპუნა?
პაპუ შა — რა ვენათ? ჰო, დიახ, დიახ...
უხერხულია, მაგრამ შეფეს უნდა მოხსენდეს!
მაგრამ მე ვარჩევ
ჯერ ვინახულოთ კათალიკოსი. გამომყე, ბერო!

მორცვი სურათი

შეფის სასახლეში

იქ არიან: მეფე, პაპუნა, ბერი და ფაცის კაცები; ღოღობერია,
მესხი, ავალიანი, მიქაბერიძე. მიქელაშვილი და იმსელიანი. ბერი წერილის კითხვას
ამთავრებს

ბერი — „გემორჩილო, არ გახლავარ ქაჯარა. შენი გერი!“
ღოღობერიძე — საზიზლარი..
მესხი — ნუთუ ასეთი უმაღლურობაც!
ავალიანი — თავისაგდება, ცველას შერცხენა!
მიქაბერიძე — ჩვენი სიგლახე!..
ღოღობერიძე — დიახ. სიგლახე, რომ ხელში გვყავლა და ვერ
შევბოჭეთ!
მიქაბერიძე და იოსელიანი — გვიბრძანე. მეფევ, კიდევაც
შევძლებთ!

კაფე — (ლრმად აღელვებული. გულჩამცვარი)
მე მას მივენდე... დავუჯერე, რასაც ამბობდა...
და უფრო აღრე ბარაკონში მე თვით ვეახლე!
დანაშაული ვაპატიე, დანაშაული...
რად იგვიანებს კათალიკოსი? —
ის შესძლებს მხოლოდ... — ჰო, რას ვამშობდით?
მან ასე რიგად სიკეთისთვის გადამიხადა?
რა ვუყოთ, ზოგი ცდილობს მხოლოდ სხვის დამცირებას...
და ვერ კი ამჩნევს, რომ თვით არის დამცირებული.

ბერი — რაკი მას არ სურს სიკეთე თქვენი, —
და, მიეზოოს ზღვეგა! სისხლის უბედურება!
არც შეწყარება, აღარც დაზოგვა!
პაპუ ნა — მართლაც, ფიალა მოთმინების უკვე აივსო!
ბერი — ბრძანე, მეფევ!

ახლავე წაგალთ ბარაკონში და ცეცხლს გავუჩინთ!

კაფე — იყუჩე, ბერო!
წერილობითი შეურაცხოფა
საწყენი არის, მაგრამ იგი პირადულია!
შე მას მრავალჯერ ვაპატიე ისეთი დიდი
დანაშაული, რაც ქვეყანას უბედურს ხდიდა!
კაპუ ნა — რადგან გეგონა, ლვთის ხატება გონს მოვიდოდა!
ბერი — ის არ ყოფილა ადამიანი!
კაფე — ხიდისარშია გამაგრებული...
ორივე მხრიდან სალი კლდე აქეს მთლად მიუვალი!
ასევე არის თვით რიონის მისადგომებთან.
იქ ერთი კაცი ჩვენსას ათასს მოიგერიებს!
ვერ მივუყენებთ ჩვენ ვერც თოფსა და ვერც ზარბაზანს!
მათ კი ჩვენ ცველა ცვერლებით, ვით ხელის გულზე...
უეპელია, მოგვაყენებს იგი დიდ ზარალს!
და ჩვენ შევრცხებით,
შეერცხებით ვინერ ჩემი ყმისგან, ეს არ იქნება!

კაპუ ნა — მაშ ვაპატიოთ?

კაფე — არა!
რომ იგი უნდა დავიმორჩილო,
ეს ცხადი არის, მაგრამ ერთს თავხედს
შევაკლა ჩემი ათასი კაცი, ეს არ იქნება!
ის, შეიძლება, ჩვენ არც შეგვებს!
გადაიხიზნოს და შექრიბოს ისეთის ჯარი!
მოიშველიოს ჩერქეზთ მთავარი...
სვანეთის მთავრის მახალი გახლავს
და აფხაზეთის შერგაშიძეც შვილობილია!
ყველა ესენი ჯარს ათხოვებენ
და ყოველ კუთხით შფოთს აგვიტებს, საშიშს, შემზარავს,
დაგვალვრევინებს მოძებეთა სისხლს... და საეჭვოა:
ჩვენ გავიმარჯვებთ, თუ დაგვამარცხებს!
კლდეში შემგრალი, როგორც დათვი თავის სოროში.
დიდი სიფრთხილით გამოვიყვანოთ!

კაპუ ნა — (მდაბლად თავს დახრის) გონივრულია!
ეს უნდა ისეთს კაცს მიენდოს... რომელიც შესძლებს...

კაფე — შენ ხომ სთქვი წელან,
კათალიკოსს ვესაუბრეო!
თუ კი დაგბირდა, რად არ მობრძანდა?
იგია სათნო, ლვთისნიერი ადამიანი.

მე მას ვუჟვარვარ,
მე მან დამითო ტახტიც და სკიპტრაც!
აი, ასეთი უანგარო აღამიანი
მოიყვანს როსტომში, სხვა ვერავინ! — როცა მოიყვანს.
ბ ე რ ი — აგერ, უცქირეთ! დედოფალთან კათალიკოსიც!
პ.ა პ უ ნ ა — ღმერთი გვიგზავნის!
ბ ე ფ ე — ფრიად მასარებს...

(შემოდიან კათალიკოსი და დედოფალი).

ისებ ძმაო! გვაკურთხენ, მეუფეო!

კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი — გაეურთხოთ ჩეენმან მაკურთხებელმან!
იყოს მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება!
ბ ე ფ ე — მოპრინანდი ჩემთან!
კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი — დედოფალს სთხოვეთ...
ხოლო მე აქვე ჩემს წერეთელთან!
ბ ე ფ ე — თქვენო მეუფებავ!

(ჯდება პატუნას გვერდით, ხოლო დედოფალი მეფის გვერდით)

განაგრძეთ საქმე საზრუნვი საოხად ჩვენდა!
მოგეხსენებათ, რომ როსტომი ორგული მყავდა,
ორგული დარჩა, არ ეღირსა გამოსწორება!

კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი — თითქოს ამბობდით: გვესტუმრაო
ზავისმთხოვნელი მონჩნებული?

ბ ე ფ ე — ის მონანება თვალთმაქუობა გამოდგა მისგან,
მოულოდნელად დაპკრა ფეხი და უკუიქცა.

კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი — ალბათ, თქვენ თვითონ ბრალში იქნებით!
მას თქვენთაგანი აწყენინებდა!

პ.ა პ უ ნ ა — თქვენ იდლეგრძელეთ...
ვისაც წყალობის თვალით უდექრს ჩვენი ბატონი.
რა უფლება გვაქვს, მას ვაწყენინოთ..

დ ე დ ი ფ ა ლ ი — მომიტევეთ!
შენც მაპატიე, მეფევ-ბატონი!
ნუ ჩამომართმევთ კაღნიერებად!..
მართალი არის, ვერ მოიქცა როსტომი კარგად
და ამის გამო ნაწყენია მეულე ჩემი, —
მაგრამ ამ წყენას ნუ გააღრმავებთ.
დანაშაულის მთელ სიმძიმეს ნუ გადაიტანთ
მხოლოდ ერთს მხარეს... პეტენით საქმე ღვთის მოსაწონი
გამარჯვებულთა ქვეყანაში იყოს მშეიდობა!

და იყოს გული კაცთმოყვარე, შემწყნარებელი.
ალსაცე მარად სათნოებით, ლმობიერებით!
კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი — ნათელი გული მეტყველებს შენით, შენ
ჩემო რძალო!

რომ ყველაფერში დამნაშავე როსტომი იყოს,
და მას არ ჰქონდეს თვისი წყენის რამე მიზეზი,
ვერ დამარტიშუნებთ...

თქვენში ზოგიერთს გამკილავი ენა აქვს მწარე!
ისეთი მწარე, რომ ხანგალზე უმეტეს მკვეთრობს!
თქვენ ეს მიზეზი გამონახეთ და თქვენი შემწე
ღმერთი იქნება...

ბ ე ფ ე — მე გულით მინდა შევირიგო! მსურს ჩამოვაგდო
ჩვენს შორის სიტყბო...

რომ მოვიდოდეს, შეინანებდეს;

მე მას ყველაფერს ვაპატიებდი!
მსურს მივუგზავნო მოციქული, რომ ჩემს მოციქულს
ის ენდობოდეს, მისი სჯეროდეს...

რ ე დ ი ფ ა ლ ი — მეფევ ბატონი, მახარებ დიდად..

კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი — შენი განზრახვა ღვთიოურია. ბრწყინვალე ფრიად!
და ნუთუ კაცი ვერ გამონახე.
აახლო როსტომს?

ბ ე ფ ე — ვის გამოვნახავ?

აქ ვისაც ხედავ, არც ერთს მათგანს ას არ ენდობა..

კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი — ეგ უნდობლობა სახარბიელო არ არის
თქვენთვის...

პ.ა პ უ ნ ა — უმეცრებისგან ვართ შეცდომილნი ცხოვრების გზაზე
და გვაპატიეთ, თქვენო მეუფებავ!

რ ე დ ი ფ ა ლ ი — თქვენ თუ იქისრებთ,
მადლიც იქნება, სულის ცხონებაც!

კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი — დედოფალო, საღვთო საქმეა!
კიხსნათ ცხოვარი გზადაბნეული!

თუ თქვენ გულწრფელად გსურთ შერიგება,
თუ გსურთ მშეიდობა მეზობელთ შორის
და ქმასთან ძმობა, —

სამსახურისთვის მე მზად განლავართ...

იყოს უფალი ჩემი შემწე, რათა შევიძლო
და შევასრულო სანეტარო მეფის სურვილი,

მხოლოდ მომეცი, მეფევ ფიცი, რომ არაფერი დაუშავდება...
რადგან მეც უნდა მას ფიცი მივცე ჯვარზე, ბარძიმზე.

მ ე ც ე — ვფიცავ, არ შოგელა
და მას მოვექტე მე საარაკოდ!
ვფიცავ მე სამგზის!
კათალიკოსი — ამინ! ვფიცავიდეთ ღმერთი მაღალი!

შეცხოვ ცურათი

აშენლის ბინაზე

• ბ უ ლ ა ძ ე, პ ა პ უ ხ ა, ბ ე რ ი, ფიცისყაცები და მთლებლები. მცირე
თოვლი მოდის. შემდეგ მატულობს.

• ბ უ ლ ა ძ ე — იაშეილო! აბა, მზად იყავ!
წადი, შენ სუფრა გაამზადე...
პ ა პ უ ხ ა — ლორთქითანიძე!.. შენ როგორ ჰგონებ?
რატომ დაჭირდა ოჩეკერ ხლება ჩვენს კათალიკოსს?
ბ ე რ ი — რა მოგახსენო, ბატონო ჩემო!
პ ა პ უ ხ ა — სანამ მეორედ არ ეხლა.
არ დაჭყვა ნება...
ცხრა თვის წინათაც ფიცა აძლევდა სოლომონ მეფე.
მაშინ მან არ ჰქნა...

პ ე რ ი — ვგონებ, რაღაცა გაუჭირდა და რაჭის ხალხიც
მეტად შეწუხდა, რომ მოსწყდა ბარს, მოსწყდა ქუთაისს...
თორემ მეც ვიცი,

შშრალ ქვიშაზე დაწერილი როსტომის ფიცა.
პ ა პ უ ხ ა — შენ ჰგონებ, ხალხის გაჭირვებამ ის აიძულა?
ბ ე რ ი — და რომ ვიცევო სულ სხვა რამე, არ მაქვს საბუთი!
პ ა პ უ ხ ა — არა, მას გულში სხვა განზრახვა აქვს...

ბ ე რ ი — სხვა რა განზრახვა?
პ ა პ უ ხ ა — საშინელი!
ბ ე რ ი — საშინელი? თქვენ რას გულისხმობთ?

პ ა პ უ ხ ა — შენ ეს მითხარი: მისი გიორგი ახლა სად არის?

პ ე რ ი — მისი გიორგი რაჭის აღარ მიჰქარებია,
რაცხან როსტომა მეფე დასტოვა...
ზოგნი ამბობდნენ: აფხაზეთში გადიხვეწიო.
ხოლო ზოგნი კი — სამეგრელოში.
თუ შეიძლება და მენდობით... რა განზრახვა აქვს?
პ ა პ უ ხ ა — ეს, ჩემო ბერო ლორთქითანიძე...
შენა ხარ ჩემი გული და გრძნობა,
ჩემი სინდისი, ჩემი სიმტკიცე...
და რატომ ეჭვობ, არ გენდობოდე?

დ ა თ მ გენდობი, ეს გააკეთე
შენ ახლავ წადი აქვე, ახლო მესხის ბინაზე,
ამასთან ერთი შეპყრობილი უცხო კაცია.
როცა კველანი თავს მოიყრიან.

ივარაუდე,
ის კაცი მეფეს წარმოუდგინე.
• ე რ ი — ნუთუ როსტომი მოდის ჩვენთან მხაკვრულის ზრახვით?

• პ ა პ უ ხ ა — მერე გაიგები!..
აბა ისწრაფე! (ზერი გადის).

მბობენ, თითქოს როსტომს ვმტრობდე პირადი ზრახვით.
ითქოს პირადი ანგარება მამოქმედებდეს!..
ეს ჭორი, თვითონ როსტომისგან გავრცელებული.
ხოგს თვალს უბრმავებს!..

ზენ უწყი ლმერთო,
კხრუნავ მხოლოდ ჩემი ქვეყნისთვის.
თავიცე იგი გარეშე მტრისგან!
• ბ ე ლ ა ძ ე — აბა, ბიჭებო. როგორც გითხარით...
ეს როცა მოვა. თავაზით შეხვდით!

(შეძოდის მიქელაძე).

• ბ ე ლ ა ძ ე — მეფე მობრძანდა!
• პ ა პ უ ხ ა — აბა, ჰე, დახვდით!

მომდინა: მ ე უ ე, დ ა დ თ ფ ა ლ ი, შ ა რ ი ნ ე, ლ ო ლ თ ბ ე რ ი ძ ე,
• ვ ა ლ ი ი ა და სხვები. შეხედრის ცერემონია.

• ბ ე ლ ა ძ ე — დ ა მ ხ ვ დ უ რ ი — დღეგრძელე იყოს მეფე სოლომონ!
• შ ე ი ლ ი — ჩემი სახლი ბეღნიერია საშეილოშვილოდ.
• ბ ე ლ ა ძ ე — აშეილო, მე დიდად მომწონი
სე შემცული კარ-მიდამო — ეს ბაღნარია...
ქებას ამბობენ თვით შენობის მორთულობაზე...
• უ კ ი ლ ი — დედოფალო, მოხარული ვარ...
ი. ინებეთ... გთხოვთ ნამგზავრებს... იქ მოისვენოთ...

• ე რ ი კანი გადან იაშვილის მიმატებით.
აჩებიან მ ე უ ე დ ა პ უ ხ ა.

• ბ ე ლ ა ძ ე — პაბუნა ჩემო! დავიგვიანე?
• პ ა პ უ ხ ა — დროზე მობრძანდით!
• ბ ე ლ ა ძ ე — ძაგრამ როსტომი?
• პ ა პ უ ხ ა — როსტომიც მოვა!
ქხოლოდ მცველები დარჩებიან რიონის გაღმა!

მენავეები ჩასძირავენ რიონში ნავებს...
 ასეთი ხერხით აბულაძეს უმოქმედნია!
 მ ე ფ ე — მაგრამ მისმინე:
 წუხელ მთელს ღამეს არ მძინებია!
 პ ა პ უ ნ ა — გეტყობა, მეფევ!
 მ ე ფ ე — და გადავწყვიტე, ვაპატიო, ხელი არ ახლო
 პ ა პ უ ნ ა — რას პრანებ, მეფევ?!
 მ ე ფ ე — დიახ, მე ვპრანებ,
 იგი არის ჩვენთვის საშიში.
 პ ა პ უ ნ ა — მეფეო, იგი საშიში გახლავს.
 მ ე ფ ე — არა! არა!
 მე რომ დაგსაჯო ახლა იგი, ახლა როდესაც
 ჩემს ფიცს მოენდო, ვერაგობა იქნება ჩემგან!
 ასეთის ქცევით ავიმხედრებ მის ნათესავებს,
 დიდგვაროვანებს და გავიჩენ ერთი მტრის ნაცვლად
 მრავალ ათეულს... არა-მეთქი! მე გადავწყვიტე!
 დ ე დ ო ფ ო ლ ო — (ბრუნდება) მეფევ ბატონო, ალბათ, მაღა
 როსტომიც მოვა...
 მ ე ფ ე და პ ა პ უ ნ ა — დიახ, დედოფალო...
 დ ე დ ო ფ ო ლ ო — ვერ წარმოიდგენ, გული რაოდენ მოხარულია...
 გზაშიც გითხარ —
 მოხარულია, რომ შეინდობ და აპატიებ...
 ჩამოვარდება მყუდროება და სიტკბოება...
 მაგრამ მე ერთი საიდუმლო მაქვს...
 და მხოლოდ ახლა გაგიბედავ... ახლა როდესაც...
 (პატუნას აცერდება).
 პ ა პ უ ნ ა — მე ბოდიშ ვიხდი... (პატუნა გადის).
 მ ე ფ ე — გულდასმით გისმენ!
 დ ე დ ო ფ ო ლ ო — დიდი ხანია, მინდოდა შეთქვა...
 მარინე სწუხდა ერთ ყმაწვილ კაცზე...
 მასზე ფიქრობდა...
 მეც ვადასტურებ, ის ყმაწვილი ჩინებულია!
 თავდადებული! შენი საქმის მარად ერთგული.
 მაგრამ მშობლების მეოხებით ქმნილი უბედო.
 მარინეც გრძნობდა, უწამლავდნენ პედნიერებას...
 გულით დარღობდა, ვნახე ჩუმად ნამტირალევიც.
 მე რა შემეძლო... ვაიმედე, ნუგეში მივეც.
 მეფევ-ბატონო, ალბათ, მიმიხვდი:

ჩვენ ქალს მარინეს, გიორგი უყვარს...
 მ ე ფ ე — მაგას რას ბრძანებდ?
 დ ე დ ო ფ ო ლ ო — დიახ, ნიშანსაც ატარებს ქალი!
 მ ე ფ ე — გიორგისაგან ნიშანს ატარებს?
 დ ე დ ო ფ ო ლ ო — იმათ სიყვარულს შეუძლიან აღმოფხვრას პტრობა
 თუ კიდევ რამე დარჩენილა... რას იტყვი, ჩემო?..
 პ ა პ უ ნ ა — (შემოდის) მაპატიეთ!
 როსტომის ვაჟი!
 ეზოში ცხენი შემოაჭენა.
 მ ე ფ ე — როსტომის ვაჟი?
 დ ე დ ო ფ ო ლ ო — ნუთუ გიორგი?
 პ ა პ უ ნ ა — დიახ, უფროსი.
 მ ე ფ ე — მობრანდეს!
 ჩანს, სადღაც იყო, გაუგია და წამოსულა!
 (შემოდის გიორგი).
 გ ი ო რ გ ი — მეფევ ბატონო! დედოფალო! მოხარული ვარ.
 რომ მე თქვენს კალთას ვეამბორები!..
 მე გზად მომავალს შემატყობინეს,
 რომ აპატიეთ როსტომს — მამჩემს —
 და იაშვილის პინაზე მას ზეიმს უმართავთ...
 არ აქვს საზღვარი ჩემს სიხარულს და აღტაცებას...
 მ ე ფ ე — ადექ, ყმაწვილო!
 მამა-პაპების დანაშაულს, ან წამხდარ საქმეს,
 გამოასწორებს მომავალი ახალგაზრდობა!
 დიახ, შევუნდე მე მამაშენს და დღეის შემდეგ
 იქნება ზავი და მოყვრობა მოძმეთა შორის!..
 პ ა პ უ ნ ა — ბრძანოს უფალმა...
 გ ი ო რ გ ი — ბატონო მეფევ, თქვენც დედოფალო! გამოგიტყდე-
 ბით...
 მე მქვდარი ვიყავ, დამარხული ცოცხლად მიწაში...
 დღეს შენმა სიბრძნემ, სულგრძელობამ ფრთხები შემასხა
 და ეს ცხოვრება შემაყვარა, ვიღრე მიყვარდა.
 დიდად აფასებ ადამიანს და მის სიცოცხლეს
 და შენ ქვეშევრდომს უფრთხილდები მამობრივ ზრუნვით.
 მიტომ შეუნდე ჩემს მშობლებსაც...
 პ ა პ უ ნ ა — შენ სხვა კაცი ხარ...
 ვერ აიტანე შენ მშობლების აუგი საქმე,
 გაიქეც სადღაც...

გიორგი — ბიძია ჩემო, შეც მაპატიე და ჩემს მშობლებსაც!

ვაკუნა — ვვონებ, მოდიან...

ყველას თავის გზით, შვილო, ჩემო, ღმერთმა შეუნდოს და
აპარატის.

ეხლებელი — მობრძანდა როსტომ ერისთავი...

(შემოდის როსტომი შეილებოთ. მეორე მხრით შემოდიან
მარინე და მეფის ამილი).

ვაკუნა — აა! როსტომ ჩემო! ძლივს, ჩემო როსტომ!

როსტომი — შვილო, გიორგი!

ვარინე — გიორგი!

გიორგი — მეც ვხარობ თქვენთან!

როსტომი — მეფევ ბატონო! შენს წინაშე დამხობილი ვარ,
მიიღე ჩემი ერთგულება ამიერიდან.

შეფე — გისურვებ მარად ბედნიერებას.

როსტომი — დედოფალო, თქვენს სათნაებას მდაბლად ქედს
ვუხრი...

(გიორგის)

სად იყავ, შვილო!

არ მოველოდი. რომ ჩემს შვილსაც თქვენთან ვნახავდი...

(პაპუნას)

მე იმედი მაქვს, დაივიწყებ ყოველგვარ წყენა...

ვაკუნა — ძველი წყენა რა სათქმელია,

თუ ედირსები ახალ სიხარულს...

როსტომი — დიახ, დიახ, ახალ სიხარულს...

დაკარგული შვილიც ვიპოვე... (თავისთვის)

ჩემი კაცები იგვიანებენ!

რა დაემართა?

ვაკუნა — რაჯი ჩვენთან ხარ, შეგვეცვლება წყენა სიამედ!

ხომ ასე არს? გვეჭვება?

როსტომი — ბატონო. მაგას რად ბრძანებ?

შვილო მეთოდე,

ჩვენი კაცები? ჩვენი მცველები?

ვაკუნა — როსტომ, მცველები რისთვის გვირდება?..

მცველი სჭირდება დამნაშავეს, უფრო თავდამსხმელს...

როსტომი — ისე, ბატონო... იგვიანებენ... თორებ მე სხვაფრიდი...

კათალიკოსის წმინდა ფიცი საწინდარია...

ვაკუნა — არა, როსტომ, მართალს არ ამბობ!

შენ გულში ისევ მზაკვრობაა, მეფის ღალატი!

ეს — წერეთელ!

როსტომი — მეფევ ბატონო, აი ეს ხალხი
ერთმანეთს მუდამ გვაძულებდნენ, დღვესაც ასეა

ვაკუნა — არა იყო რა უმიზეზოდ გაგიძედავდი!

მოდიხარ ჩვენთან, გითომ გულით შენანებული,
ესისისხლესთან კი შენ შუამდგომლობ...

(ყველას გადაიტვება).

რომ შერჩეულ ღროს გალესილი მახვილი ჩაგვცე!

ამა, უცეირე!

ბერო, მოიყვა!

ხომ იცნობ ამ კაცს?..

როსტომი — (ზარდაცმული) ეგ... ეგ...

ვაკუნა — ოსმან-აღლი...

როსმან — შემიპყრეს... ყველაფერი იცის პაპუნაშ.

ვაკუნა — (ოსმან) თქვი, თუ სიცოცხლეს
აფასებ შენსას.

როსტომი — როსტომი სწერდა... ჯარს სთხოვდა სულთანი...

მე გამომგზავნეს თადარივისთვის...

და თან წერილიც გამომატანეს...

ვაკუნა — აი წერილიც!

ოცი ათასი თურქი უნდა შემოეყვანა

და ტყვედ შეებურო ზეგარზე მეფეც!

ვაკუნა — უმაღლურო! ვერაგო როსტომ...

რომელი — ოხ, მამაჩემო!

ერთხელ შევრძელ, აგარიდე იქ, ბარაკონში

კურას შერცხვენა და ღალატის შავი განზრახვა.

ოდეს აღარ ძალმიძს...

ა! შენ არ ხარ პატიოსანი...

მეს სისხლს ვერ დავლები, რაღვან მამა ხარ!..

ვაკუნასკნელ საქმეთა გამო

მიღებ ჩემგან მაღლობა...

რომის დაიცემს. ყველანი შეკრთნენ. როსტომში
წამოიძახა: „შვილო!“)

ვაკუნა — გიორგი!

რომელი — მამაჩემო!

შენ არ გიყვარდა არც შენი შვილი, და არც სამშობლო.

შენ ჩრდილში ვჩანდა მეც მოღალატედ

და შშობლიური მოვალეობა მაძულებდა
დუმილს... ო, დუმილს... მარინე!
იი, დუმილიც მოდის... მთხრის თვალებს...
მაიც შენ გხედავ, ჩემო მარინე...
ვხედავ ყვავილი უცხოდ გაშლილა,
ჩემთან დგას ახლოს...
მაგრამ ხელებზე მადევს ბორკილი...
მძიმე... მძიმე... (კვდება).

მ ე ფ ე — როსტომ! როსტომ!

ეს მსხვერპლი შენი ავკაცობის ნაყოფი არის!
გაიხსნე, შე ავაზაყო,
შენ ჩვენი ხალხი უცხოელებს საქლეტად მიეცა;
შენ აქეზებდი, გვარი ჩემი მოესპოთ სრულად...
შენ მომატყუე ომში ხრესილთან,
შენ მომატყუე, როს შეგინდე დანაშაული —
შენ დღესც, წმინდა ფიცის შემდეგ, მახვილს გვიმზადებ
და შენმა ქცევამ, ვერაგულმა, შვილიც იმსხვერპლა...
არა, შენს თვალებს არ უნდოდა ჩეენთვის სიკეთე!
როცა ჩვენს თვალებს ტყივილისგან ცრემლი სდიოდათ,
ჩვენს მწერარებას ვერ ხედავდნენ შენი თვალები...
მაშ დაეთხაროს, დაეთხაროს როსტომს თვალები!

ა ბ უ ლ ა ძ ე — დაეთხაროს როსტომს თვალები!
რ ო ს ტ ი მ ი — (მოტეხილი) ვაგლახ და ვაი შენ, ჩემო თავო!

(როსტომი შებოჭეს და მისი დანარჩენი შვილებიც).

დ ე ღ თ ფ ა ლ ი — მეფევ! მარინე! მას უშველეთ!
მან საწამლავი...

მ ე ფ ე — შვილო მარინე! ჩემო ვოგონი, რა ჩაიდინე?

პ ა პ უ ნ ა — მეფის ასულო...

მ ე ფ ე — რატომ ჰქენ, შვილო?

მ ა რ ი ნ ე — არ შეიბრალეთ ის ერთადერთი...

არ შეიბრალეთ...
თქვენ შორის იყო ნათელის გულით

და თქვენმა მტრობამ იმსხვერპლა იგი...

და გაგეცალათ...

მეც მასთან... მასთან...

აგერ გიორგი! გიორგი, ჩემო!

რატომ დამტოვე? შენი ფიცი რატომ გასტენი?

ბალში უცადე იმ ვარდის გაშლას...

და ბორკილები სიკვდილისა დაიდუ გულზე...
ჩემო რჩეულო, ის ყვავილიც არ გაიშლება...
შენი ლანდალა...

მ ე ფ ე — შვილო!

მ ა რ ი ნ ე — (ვენიაში, ნაწყვეტ-ნაწყვეტ).

სიკვდილმა შენი თავი წამართვა...

და აქ სიცოცხლე მე რაღად მინდა?

მამაც! დაგვმარხე ერთ სამარეში!..

ეს საჩუქარიც თან ჩაგვაყოლეთ... (კვლება).

დ ღ ფ ა ლ ი — ეს, უბედურო! შვილო, მარინე!

ჩვენმა სიავეზ, დუხშიორობაშ მოგიღო ბოლო!..

მ ე ფ ე — რად დავისაჯე? რად! რად?

რომად დამწუხებული. ატირებული გრძნობით).

ძისაყვედურე, შვილო მარინე!

შენც, შენც გიორგი! მი-სა-ყვედურეთ!

ო, საბრალო ვარ და უბედური...

დამნაშავე ვარ,

რომ ვერ ვიზრუნე მე თავის დროზე...

ან რა ვიცოდი?..

უნდა მცოდნოდა?

არა, არა ვარ გულთამხილავი!

უნდა მომესპო, ვინც კეთილს სპობდა

და რომ, ეს არ ვქმნა, შეეწირენით

ძახინჯ ბუნების, ველურის ზრახვას

ური უმანკო, ნორჩი სიცოცხლე,

იძედი ჩემი... მომავლის სხივი...

ეს ჩამწვდეს გულში და მანუგეშოს?

არავინ არის!..

უსენაესო! შენ შემოგვედრებ!

მ ე ფ ე დავისაჯე...

რომ მიეც შვება... მიეც მშვიდობა!

დ ღ ფ ა ლ ი